

**საქართველოს კანონი**

**საქართველოს კანონში - „საერთო სასამართლოების შესახებ“  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.**

საქართველოს კანონში „საერთო სასამართლოების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №41, 08/12/2009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-14 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. უზენაესი სასამართლო დადგენილი საპროცესო ფორმით ზედამხედველობს მართლმსაჯულების განხორციელებას საქართველოს საერთო სასამართლოებში, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის 88-ე, 90-ე მუხლებით და ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.“

2. მე-18 მუხლის მეორე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს

**მუხლი 2.**

ეს კანონი ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან.

**საქართველოს პრეზიდენტი**

**მიხეილ სააკაშვილი**

## განმარტებითი ბარათი

### "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტზე

#### ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

##### ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

##### ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 63-ე და 75-ე მუხლებთან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

##### ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციასთან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის მე-14 და მე-18 მუხლებში. კონსტიტუციის 63-ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცედურის განხორციელებაში უზენაესი სასამართლოს მონაწილეობა სრულიად გამოირიცხა და პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან/და მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში კონსტიტუციური წარდგინება დასკვნისთვის გადაეცემა საკონსტიტუციო სასამართლოს. ამავდროულად გაუქმდა შუალედური პროცედურა, რომელიც გულისხმობდა იმპიჩმენტის საკითხის საბოლოო კენჭისყრაზე დაყენებისთვის აუცილებელ პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის თანხმობით მიღებულ გადაწყვეტილებას. 30 დღიდან 15 დღემდე შემცირდა პარლამენტისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის მიღებიდან გადაწყვეტილების გამოტანისთვის დადგენილი ვადა. აგრეთვე დადგინდა, რომ თუ პარლამენტი აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს გადაწყვეტილებას პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების შესახებ, იმავე საკითხზე იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება დაუშვებელია. ამავდროულად, კონსტიტუციის 63-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების კანონმდებლობაში იმპლემენტაციაზე მუშაობამ თავისთავად გამოიწვია კონსტიტუციის 75-ე მუხლით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელებაც, რაც ასახულია კანონპროექტში.

##### ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

##### ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო,

ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

**ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები**

კანონპროექტი არ აკისრებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება**

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

**ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)**

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

**გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში**

**საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

**გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან**

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

**დ.ა) კანონპროექტის ავტორი**

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ - „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“.

**დ.ბ) კანონპროექტის ინიციატორი**

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.